პრესის შესახებ ასე ხელალებით ვერ ვიტყვი, მაგრამ გივი თარგამაძეს, ძირითადად, პრესით ორი კაცი ავივნებდა - ერთი იყო უძილური და მეორე - მძინარაშვილი...

- არასამთავრობო ორგანიზაციები გარბენაძეს უკვე მორედ შეხედით და რალაც საკითხებზე ერთ აზრამდე მიხვედით. მაგალითად, ისეთ მარტივ ჭეშმარიტებამდე, როგორიცაა დემოკრატიული სარჩევნო კანონი... გვერათ მისი?

- ჩვენ არაფერს გვეჯრა. საკითხი ასე საერთოდ არ დგას. ჯერ-ჯერობით, ჯორბენაძე ყველაფერში გვეთანხმება და მხარდაჭერას გვპირდება. ენახით, რა იქნება.

- თქვენ მაინც რატომ არ ახსენებთ მის დანაპირებს: თუ ბიუჯეტი არ შესრულებდა, მთავრობიანად გადავდებო...

- ჩვენთან პოლიტიკოსები იტყვიან ერთს და მერე არაფერს თბოვს პასუხს. ჯორბენაძე რომ მოვიდა, ლამის მემკვიდრედ გამოაცხადეს. ის გამოუცდელი აღმოჩნდა და რალაცნაირად არია ყველაფერი. ძალიან მეპარება ეჭვი, რომ მან მემკვიდრეობა შესძლოს. ის დამოუკიდებლად ღლიერი ფიგურა არ არის. ერთადერთი, რისი ბერკეტიც მოიპოვა, ეს მისი საპარლამენტო გუნდია, რომელიც ძალზე არაპროფესიულად იქცევა და ყველანაირად ნამებობს ქმედებებს სჩადის. მათი დემარშიც ამის დამადასტურებელია. სახელგასო მინიშუმის გაზრდას რომ შეგინააღმდეგენ, ეს რეპუტაციის გაფუჭების შიშია გამოჩნია. არადა, მათ ეს რეპუტაცია არ გააჩნიათ. ხალხი ამ ხელისუფლებას ისედაც არ ენდობა და ეს არჩევნებაც ცხადყო. მათ ეს არ ესმით, რადგან არ აქვთ ურთიერთობა მოსახლეობასთან. ურთიერთობა მხოლოდ თავისნარ 10 პროცენტთან აქვთ. მუხიანში რომ გაიარონ, შეიძლება იქიდან არც გამოუშვან, იმდენად არის განმარებული მოსახლეობა.

- როგორ გგონიათ, მუხიანელთა და სხვათა განწყობა პრეზიდენტმა არ იცის?

- ასე ვიტყვოდი: მას არ უნდა, რომ იცოდეს. შევარდნაძემდე რომ მჭავანაძე იყო, პირდაპირ ეუბნებოდა მასთან შემოხსულებებს - ცუდი ამავი არ გაზგაზნოთო. შევარდნაძესთან დაახლოებულ ყველა ადამიანს უთქვამს: ის ვერ იტანს, როცა რალად არ არის კარგად. ალბათ, ამიტომაც არ ეუბნებიან. თუ უნდა, მას ისეთი ბერკეტები გააჩნია, რომ ყველაფერს გაიგებს. პრეზიდენტი, უბრალოდ, თავს იტყვებს.

- და, ბოლოს. დღევანდლობაზე რომ ზღაპარი დავგერათ, რას დაარსმევდით?

- ოპტიმისტი ვარ და, ალბათ, ასეთი იქნებოდა ჩემი ზღაპარი.

თუმცა, მწერალი ფანტასტიკ ვერ მოიფიქრებს, ისეთი სიუჟეტი ვითარდება დღეს საქართველოში. ერთი კარგი წიგნი გამოვიდა, სხვათა შორის, საბჭოთა ეპოქაში, სადაც იმის შესახებ არის მოთხრობილი, თუ როგორ ჩავიდა და დასახლდა კახელი გლეხი ამერიკაში და მიაღწია წარმატებას. იმ წიგნის სათაური სრულიად მისადაგება ჩვენს დღევანდლობას: "ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

ფრანგი მუსიკოსები თბილისში



ფრანგი ჩელისტი ჟერომ პერნო

საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მოწვევით თბილისში ფრანგი მუსიკოსები ჩამოვიდნენ, რომლებმაც თბილისის კონსერვატორიაში ორი საშობაო კონცერტი გამართეს. 23 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვიოლონჩელისტმა ჟერომ

პერნომ და პიანისტმა ჟერომ დიუკ-რომ ბეთჰოვენისა და ფრანკის ნაწარმოებები შეასრულეს, გუშინ კი მცირე დარბაზში ქართველმა მსმენელმა ბაზის სუიტებსა და კოდალის სონატა მოისმინა ფრანგი ჩელისტის შესრულებით...

ფრანგი სოლისტები კონსერვატორიაში მასტერკლასებსაც ატარებენ.

“საშობაო ღდაპარი”

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში შობა-ახალი წლის თეატრალური სეზონი გაიხსნა. გუშინ “საშობაო ზღაპრის” პრემიერა გაიმართა. სპექტაკლი ერთ თვეში მომზადდა. პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ოთარ ბაღათურია, მუსიკალური გაფორმება გოგი ცვაიძეს ეკუთვნის, მხატვარია აივანგო ჭელიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ ახმეტელის თეატრის დასისა და სტუდიის მსახიობები. სპექტაკლები დღის 11, 1 და 3 საათზე გაიმართება, მაყურებელს “საშობაო ზღაპრის” ნახვა

ზამთრის არდადეგების პერიოდში ნებისმიერ დროს შეუძლიათ. მსახიობები ფიქრობენ, რომ ეს სპექტაკლი ბავშვებისთვის კარგი საახალწლო საჩუქარი იქნება. გუშინდელმა პრემიერამ მსახიობების იმედი გაამართლა. ზამთრის არდადეგების დასრულების შემდეგ ახმეტელის თეატრში რეჟისორი დავით ანდლულაძე რეპერტიციებს განახლებს. ოტია იოსელიანის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს “ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი” მაყურებელი იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში იხილავს.

თავისუფალ თეატრში
მიუზიკლ-სპექტაკლის პრემიერა
გამართა

გუშინ თავისუფალ თეატრში მოზარდებისთვის მიუზიკლ-სპექტაკლის პრემიერა “ყველაზე, ყველაზე დიდი სასწაული” გაიმართა. სპექტაკლის რეჟისორები არიან თეატრის დირექტორი თორნიკე ლლონტი და ავთო ვარსიმაშვილი. მთავარ როლებს კი გოგა ბარბაქაძე, მაყუალორია, თამარ მაყაშვილი, მაიკო

დობორჯგინიძე და ნინო იოსელიანი ასრულებენ. მთავარი გმირი, რომელიც მშობლების ყურადღების ნაკლებობის განიცდის, უხილავ მეგობარს გამოიგონებს, მას რეალურად აქცევს და მშობლებს გააქრობს. სპექტაკლში ცნობილი ანიმაციური ფილმების მელოდიებია გამოყენებული. (ინტერ-პრესი)

საქველმოქმედო კონცერტი
რაიგალა

თბილისის სპორტის სასახლეში 26 დეკემბრისთვის დაგეგმილი საქველმოქმედო კონცერტი არ გაიმართება, — განაცხადა “მედია-ნიუსთან” ინტერვიუში თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ბელა სარიამი.

როგორც ცნობილია, სპორტის სასახლეში საახალწლო ღონისძიება თბილისის მუსიკალური ბავშვებისთვის უნდა გამართულიყო, თუმცა იმის გამო, რომ სპონსორი ვერ მოი-

ძებნა, კონცერტი გადაიდო. ბელა სარიას თქმით, საქველმოქმედო აქცია 5 იანვარს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება. სპექტაკლ “მაცნატუნაზე” მისწეულ 100-მდე მოზარდს ბოლეთებს მე-7 გიმნაზიის, გაზეთ “ჩემი სკოლის”, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრისა და 87-ე საშუალო სკოლის თანამშრომლების შემოწირულობებით შეუქნენ. (მედია-ნიუსი)



“ქაოსი ის ქვაკუთხედი, რომელზეც რეალობა იწერება,” — ეს საუკუნის უდიდესი ამერიკელი მწერლის, ჰენრი მილერის სიტყვებია, მწერლისა, რომლის ლიტერატურული სტლა “კირჩხიბის ბილიკის” შემქნით იწყება. ეს რომანი დღემდე ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია მილერის ქმნილებებს შორის. “კირჩხიბის ბილიკი” (Tropic of Cancer - 1931) და “თხის რქის ბილიკი” (Tropic of Capricorn - 1938) მიღწერა პარიზში დაწერა, ეს ნიგნები მწერლის ფრანგულ ქრონიკებს წარმოადგენს. ორივე რომანი პარიზში გამოიცა და გამოიცა თუ არა, მაშინვე გაჩნდა მითი მილერის – ხალხური გმირის, ლეგენდარული მეამბოხის, ბოჰემისა და თავისუფლების სიმბოლოს შესახებ. ნიგნები ზესტელურად იქცა. “კირჩხიბის ბილიკის” გამოქვეყნებიდან ორი წლის განმავლობაში ნიგნის ორ მილიონნახევარზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. მწერალმა მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქა: მილერს, რომელიც პარიზის ქუჩებში მათხოვრულ ცხოვრების წესს მისდევდა, პირველად მიეცა კომფორტულად ცხოვრების საშუალება... მილერის ნაწარმოებებს აშშ-ში ამორალურად მიიჩნევდნენ, ცენზურა მათ კრძალავდა. მისი ნაწარმოებები იქ კარგა ხანს, 1961 წლამდე ტაბუადებული იყო.

ჰენრი მილერის ცხოვრების შესაფასებლად ყველაზე კარგად მწერლისავე სიტყვები გამოდგება: “მისი პორტრეტის აღწერა ალბათ კარგად ვერ მოვახერხე. მაგრამ თუ ის არსებობს, არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა, რომ არსებობდეს... ის არ დაღუპულა, არც დაკარგულა. მას არასოდეს დაივიწყებენ.”

ამერიკელი მწერალი ჰენრი მილერი 1891 წლის 26 დეკემბერს დაიბადა. გარდაიცვალა 1980 წელს.

საქველმოქმედო აქცია პარდენჯა

კაპა გვახარია

თბილისის ერთ-ერთ ლამაზ და კოლორიტულ უბანში, შარდენის ქუჩაზე, 25 დეკემბერს საქველმოქმედო საახალწლო აქცია გაიმართა, რომლის ორგანიზატორები სხვადასხა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები იყვნენ. აქციის მიზანი გლდანის ბავშვთა სახლის დახმარება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ძალიან ციოდა, ამ დღეს შარდენის ქუჩაზე უამრავი ახალგაზრდა შეიკრიბა. ისინი თვითონაც ერთობოდნენ და ქუჩაზე გამოჩენილ სტუმრებსაც კარგ განწყობაზე აყენებდნენ. პირველი, რასაც სთავაზობდნენ ახალ შემოსულებს სახის მოხატვა და შესაფერისი ვარცხნილობის გაკეთება იყო. ეს ყველაფერი კი მხოლოდ ერთი ლარი ღირდა. მსურველები საკმაოდ იყვნენ. ძალიან ლამაზად მორთულ ქუჩას სახემოხატული, სხვადასხვა ნილებებითა და სანტა-კლავსის ქუდეებით შემოსილი ადამიანები ემატებოდნენ, რაც ძალიან საზეიმო და მხიარულ განწყობას ქმნიდა. ჩამწერებულ დახლებთან ხალხმრავლობა იყო. გასაყიდად გამოტანილი იყო წიგნები, ნახატები, დისკები, საახალწლო სუვენირები. “წიგნები შევგაროვეთ, სახლებიდან მოვიტანეთ. ნაწილი გა-



აქციის მონაწილენი

მომცემლობამ გავრქა.” გვითხრა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ელენე აგლაძემ. საახალწლო სუვენირები თავად სტუდენტების მიერ იყო მომზადებული. გამოფენილი ნახატები კი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ეკუთვნოდათ. ამ ნივთების ფასი ხუთ ლარს არ აღემატებოდა. გარდა იმისა რომ ყველაფერი ასე იაფი იყო,

გაყიდვას კარგი რეკლამაც უწყობდა ხელს. თითოეულ დახლთან შეკრებილი სტუდენტები ხალხს თავიანთკენ იხმობდნენ, სთავაზობდნენ ფასდაკლებებს. ზოგ ადგილას იყიდებოდა ცხელი ყავა, ღვინო და სტუდენტების მიერ მომზადებული ტკბილეულობა. იქვე იყვნენ ქუჩის მუსიკოსები, რომლებიც სხვადასხვა კომპოზიციებს

ქართული კლიპი პენაციიდან



მერაბ სეფაშვილი და მაია წულავა კლიპის პრეზენტაციაზე

ავტორის ვინაობა კი, სრულიად შემთხვევით, პრეზენტაციის წინა დღეს გაირკვა და იგი ზურაბ ქელბაქიანი აღმოჩნდა. წამყვანის თქმით, მსოფლიო მნიშვნელობის სილამაზის ქალაქში გადაღებული ხედები კლიპის მიმართ ინტერესს გამოიწვევს (ქართული მაყურებელი ხომ ასეთი ანტიკონსერვატივი განებივრებული არ გახებოდა?). მერაბ სეფაშვილი და პრეზენტაციის მერაბ სეფაშვილი და მაია წულავა (იგი ქართული შოუბიზნესში ამ ბოლო დროს გამოჩნდა) სეფაშვილი სიყვარულს უმღეროდა. სიმღერა საკმაოდ ძველია - სალილინო, ქალაქური და რუსული სიმღერების რეპერტუარადა. მისი არანჟირება კომპოზიტორ გია მაჭარაშვილს ეკუთვნის.

კლიპი გადამიღია, მაგრამ სულ სხვაა, როცა ვმუშაობ თბილისში, რომლის ექსტერიერი და ინტერიერი ჩემთვის კარგადაა ცნობილი. ეს კი ის შემთხვევაა, როდესაც ჩემთვის სრულიად უცხო სიტუაციაში მომიხდა გადაღება. ამასთან, ყველა ქვეყანას თავისი კანონები აქვს - რაღაცის გადაღება შეიძლება და რაღაცის არა. ამის გამო, საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს, მაგრამ ქალბატონი ჯულის დახმარებით, პრობლემები მაქსიმალურად მეგვიმცირდა. თუმცა, შიგადაშინე ექსტრემალურ სიტუაციაშიც მინევდა მუშაობა. ფიქრობ, საბოლოოდ ის შედეგი მივიღეთ, რასაც ველოდით”, - აღნიშნა ზაზა ორაშვილმა.

“ეს სეფიანი, ძველი, ქალაქური სიმღერაა, ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ ახალგაზრდა თაობამ მსგავსი სიმღერები მოისმინოს, რადგანაც მარტო გაჯაზება არაფერს ნიშნავს”, - განაცხადა მერაბ სეფაშვილმა. თავად პრეზენტის ავტორი ყველაფრით ძალზედ ემაყოფილი იყო. ერთი ის იყო, არ მოსწონდა, მეცენატს რომ უწოდებდნენ. ვენეციაში გადაღებულ ახალ ქართულ ვიდეოფილმს ფართო აუდიტორია ახალი წლის ღამეს პირველი არხის საშუალებით იხილავს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მერაბ სეფაშვილისა და ზაზა ორაშვილის საახალწლო სიურპრიზები ამით არ შემოიფარგლება.

"დაბიუტის" ყველაზე დიდი "სიურპრიზი"

რატომ დარჩა გამარჯვებული პრიზის გარეშე?



თეკლა ჩირაზი-რამიშვილი და ზურაბ ბეგალიშვილი ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე

ჩანდა, მან პასუხი ვერავისგან მიიღო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და ჩვენ მოგვაცოიხა. “ეს ამბავი რომ გავიგე, რეჟისორს დავურეკე (ჩვენ ოთხი წელია ვიცნობთ ერთმანეთს), - გვიამბობს გადასცა, ზუნებრივია იმ იმედით, რომ რეჟისორის მემუელობით ჯილდო გამარჯვებულამდე მიიღწევდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჯგუფის პროდიუსერმა გვითხრა, რეჟისორს პრიზის დათმობა არც კი უფიქრია, ჯგუფის წევრებს კი ასეთი პასუხი გასცა: პრიზი მე, როგორც რეჟისორს, გადმომეცა საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვისო (!) ეს ყველაფერი “ექსცესის” პროდიუსერისგან, მიმა ჩხაიძისგან შევტყვეთ. მიმა ძალიან დაბნეული

ფორმებისთვის რეჟისორს? - ასეთი რამ არასდ არ ხდება. “მუსიკა კონკრეტულად ამ ფილმისთვის რომ დაგვეწერა, პრეტენზია არც კი გვექნებოდა,” - ამბობენ მუსიკოსები (“ექსცესი” სამი მუსიკოსისგან შედგება: გიორგი ხელაძე და ძმები დათო და გიორგი შამანაშვილი - სიმფონიური ორკესტრისა და ოპერის ორკესტრის წევრები). მუსიკა ფილმისთვის “ქართული საბრძოლო იარაღი” ჯგუფის მეორე ალბომიდან არის აღებული; ეს ალბომი 2001 წლის აგვისტოში გამოვიდა, მისი სახელწოდებაა “საფლავები”. ეს არის ინსტრუმენტული კომპოზიცია მეგრული ნაწას მოტივებზე. “რეჟისორმა მთხოვა: “ფილმს ვიღებ საბრძოლო იარაღზე და იქნებ ეს მუსიკა დაეადოო, მეც უარი არ მით-

ქვამს, ერთადერთი ვთხოვე, რომ ჯგუფი ტიტრებში მიეთითებინა და მანაც ეს თხოვნა შეასრულა.”

სხვათა შორის, როგორც პროდუსერი ამბობს, ამ ფილმმა სარდაფში გამართულ სტუდენტურ კინოფესტივალზეც აიღო პრემია საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის, მაგრამ თავის დროზე არც ამ პრემიას მიუღწევია “ექსცესის” წევრებამდე: “იმ პრემიის ამბავიც მოგვიანებით გავიგეთ, რეჟისორმა სიგელი კი გვაჩვენა, მაგრამ ქსეროქსზე გადაღების საშუალებაც კი არ მოგვცა”.

რაც შეეხება წლევეანდელ “დებიუტს”, რეჟისორს - თეკლა ჩირაზი-რამიშვილს ჯგუფის წევრებისთვის არც კი უთქვამს, რომ მისი ფილმი ფესტივალზე იყო წარდგენილი, და არც გამარჯვების მასშტაბობით შეუნუხებია თავი.

“ქე ფულზეც არაა ლაპარაკი, არანაირი სიგელი არ გვაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ჯგუფმა ნამდვილი გამარჯვება და არც ის ვითცით, ვის მივმართეთ,” - ამბობს პროდუსერი, რომელსაც ისლა დარჩენა, რეჟისორს ფილმის ხელახალი დამონტაჟება და სხვა მუსიკის დადება სთხოვოს, რადგან, როგორც ჩანს, ჯგუფისა და რეჟისორის ურთიერთობა სადაც აქამდე არ მოგვარდა, უკვე ევლარ მოგვარდება. კომენტარს აღარ გავაკეთებთ. სამწუხაროდ, კარგად ორგანიზებული “დებიუტის” დებიუტი ასეთი ფინალით დამთავრდა.

სპორტი

ჭიქცფალდმა თავისი ყოფილი კლუბი გაკოტრაზისგან იხსნა

მიუნხენის "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა, შვეიცარიის "არაუ" გაკოტრებას გადაარჩინა და საკუთარი ჯიბიდან სოლიდური თანხა გადაიხადა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში ერთადერთმა მწვრთნელმა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად მოიგო (1997 წელი - დორტმუნდის "ბორუსია" და 2001 წელი - მიუნხენის "ბაიერნი"), სამწვრთნელი კარიერა სწორედ ბანკების ქვეყანაში დაიწყო. ჰიტცფელდის პირველი გუნდი "ცუგ" იყო. შემდეგ "არაუ", "გრეიზჰოქერი" და მხოლოდ ამის შემდეგ - დორტმუნდის "ბორუსია", რომელშიც მწვრთნელმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

შვეიცარიული პერიოდის გახსენებისას 53 წლის გერმანელი სპეციალისტი, ბუნებრივია, გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ გუნდის მიმართ, რომელიც ამჟამად სატურნრო ცხრილის ბოლოშია და ფინანსურ კრიზისშიც ამოყო თავი. დეკემბერში კლუბის მდგომარეობა კატასტროფული გახდა. გუნდის ხელმძღვანელობა კრიზისის დაძლევის გზების ძებნას შეუდგა. კლუბმა დახმარებისთვის გულშემატკივრებს, წარსულში ცნო-

ფლორენციო პერასი - ესპანეთის წლის კაცი

გაზეთ "მუნდოს" ტრადიციული გამოკითხვა იმით დასრულდა, რომ გასაგნებში "წლის კაცად" მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი ფლორენციო პერესი ალიარეს. გამოკითხვის მონაწილეებმა ამ ყესტით, ფლორენტინო პერესს მადრიდის "რეალის" ხმაურიან გამარჯვებში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის ღვაწლი დაუფასეს. შეგახსენებთ, რომ, თავისი არსებობის 100-წლიან იუბილეზე, "სამეფო კლუბმა" ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. ამასთან, მსოფლიოში წლის საუკეთესო გუნდადაც აღიარეს.

ესპანური გამოცემის მკითხველებმა მაღალი შეფასება მისცეს

"იუვენტუსი" მსოფლიო ნაპრაზს მხეხვდაზ

არაბთა გაერთიანებული საემიროების ყოფილი კაპიტნის ადნან ატ-ტალიანის პატივსაცემად, რომელიც გასული საუკუნის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, 3 იანვარს აბუ-დამბი გაიმართება მატჩი: იტალიის "იუვენტუსის" და მსოფლიო ნაკრები.

ატ-ტალიანიმ ყველაზე მეტი გოლი გაიტანა სპარსეთის ყურის ქვეყნების პირველობაზე, საერთოდ, არაბულ და აზიის ჩემპიონატებზე და ეროვნული ნაკრები 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

ვარაუდობენ, რომ მატჩს FIFA-ს პრეზიდენტი ზემ პლატერი დაესწრება. საპატიო სტუმართა სიაში არიან არბის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მუჰამედ ალ-აბდულა, მიშელ პლატინი, ფრანც ბექენბაუერი, მრავალი ქვეყნის ფეხბურთის

მოკლედ

"იუვენტუსის" ჩილელი ფორვარდი, მარსელო სალასი, გუნდს იანვარში არ დატოვებს. გუშინ გავეცდება ხმები, რომ ჩილელს ესპანურმა "ბარსელონამ" კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ფორვარდით რამდენიმე ინგლისური კლუბიც დაინტერესდა. "ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ვხვდები, მაგრამ, ჯერჯერობით, არ ვნერვიულობ. სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრს, ყველაზე ადრე, იანვარში დავიწყებ. მითქმა-მოთქმა იძის თაობაზე, რომ შეიძლება "ბარსელონაში" ან "ტოტენჰემში" აღმოვჩნდე, მხოლოდ ჭორობია. მე არც ერთ მათგანს არ მოვლამარაპყებიავარ და სეზონის ბოლომდე "იუვენტუსში" დარჩენები", - განაცხადა სალასმა.

■ ■ ■
ნიკოლა ვენტოლა, შესაძლოა, მალე ბერგამოში დაბრუნდეს და "ატალანტაში" გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. ვენტოლა წლეულს ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში და კმაყოფილი იქნებოდა, თუ მშობლიურ ქალაქში დაბრუნების საშუალება მიეცემოდა. "ატალანტას" ძალიან სჭირდება ცენტრალური თავდამსხმელი. "ინტერის" მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა, მა, მაინმნა, რომ გუნდი იანვარში "რეალიდან" სანტიაგო სოლარის შეძენას აპირებს. მან ნათელი მოჰფინა ადრიანოს მომავალსაც (იგი იჯარით "პარმაში" თამაშობს). კუპერის თქმით, ბრაზილიელი, ალბათ, "ინტერში" დაბრუნდება. "რაც შეეხება იანვრის სატრანსფერო დერეფანს, ვფიქრობ, შეგვიძლია, ახალი ფეხბურთელები შევიძინოთ. სიამოვნებით დავიმატებდით ვინმეს მარცხენა ფრთაზე", - განაცხადა კუპერმა.

■ ■ ■
ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფარუკ ჰაჯიბეგიჩი საფრანგეთის "ტრუს" ჩაუდგა სათავეში. ახალ კლუბში 45 წლის სპეციალისტი სეზონის ბოლომდე იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად "ტრუა" საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლოსნაშე დატოვნება და "მონპელიეს" მხოლოდ გატანალი და მიღებული ბურთების რაოდენობით უსწრებს. წინა მწვრთნელი, ფაქ ბონევე, გასულ კვირაში მოისნეს. ადრე ჰაჯიბეგიჩი "სოშოს" ედგა სათავეში და გუნდი საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში გადაიყვანა. მოსწიელი სპეციალისტი მუშაობდა ესპანეთშიც, სადაც სევილიის "ბეტისი" ხელმძღვანელობდა.

■ ■ ■
"ინტერის" ნახევარმცველ დი ბიაჯოზე დიდი მოთხოვნილებაა. მასზე ინგლისის ორი კლუბი ცხადებს პრეტენზიას. "ტოტენჰემი" და "ფულჰემი" მოლაწელებს დაუკეთებრდნენ და ფეხბურთელის შეძენის სურვილი გამოთქეს. საგულისხმაია, რომ თუ მხარეები მოილაპარაკებენ, დი ბიაჯო უკვე იანვარში გადაბარდება ინგლისში, როცა იქ სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. "ინტერის" ხელმძღვანელობას ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

■ ■ ■
"ბარსელონას" პრეზიდენტი ჟოან გასპარი მიიჩნევს, რომ კრიზისის დასაძლევად კლუბს გაძლიერება სჭირდება. ვან გაალმა კი დააკონკრეტა, რომ მის კლუბს მარცხენა მცველი აკლია. "ბარსას" სასურველ ფეხბურთელთა სიაში არიან გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი კრისტიან ციგე და პოლანდიელი ჯიმი ფლოიდ პასელბანეკი. კატალონიელიც ცდილობენ, შემცველი მოუძებნონ ტრადიციულ მცველ ფერნანდო ნავარის და ფორვარდ პატრიკ კლუივერტს, რომელიც, ვან გაალის აზრით, ძალიან ბევრ შანსს კარგავს.

ფეხბურთი

ქრანიოტი "ლაცციოს" გასაჰირბი ტოვებს

რომაული კლუბის პრეზიდენტმა გადადგომა გადაწყვიტა

	აკა ტონი	
	11-წლიანი მმართველობის შემდეგ, რომის "ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ გადაწყვიტა, დაკავებული თანამდებობიდან გადადგეს. ეს გადაწყვეტილება კრანიოტიმ ორმაზათს, დილით, კლუბის აქციონერთა შეკრებაზე გაახმაურა. გადაწყდა, რომ პრეზიდენტი პოსტს მამწივე დატოვებს, როგორც კი არჩეული იქნება "ლაციოს" დირექტორთა ახალი საბჭო. აღსანიშნავია, რომ კრანიოტის გადაწყვეტილებას კლუბის არც ერთი აქციონერი არ შეენიხაღმდეგა.	
	საქმე ის არის, რომ რამდენიმე იტალოურმა ბანკმა თანხმობა განაცხადა, ფინანსურ კრიზისში მყოფ "ლაციოს" 45 მილიონი ევროს ოდენობით შეენიოს, ოღონდ, ერთი პირობით: კლუბში ახალი ხელმძღვანელობა უნდა მოეიღდეს. კრანიოტის გადადგომაში სწორედ ამ ფაქტორმა შეასრულა გადამწყვეტი როლი. პრეზიდენტის პოსტისთვის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიაჩნიათ "ლაციოს" ერთ-ერთი აქციონერი, ადვოკატი უგო ლონგო. ამბობენ, რომ, კრანიოტის ნასვლის შემდეგ, პრეზიდენტის პოსტს სწორედ ლონგო დაიკავებს.	
	უძმიძევი ფინანსური კრიზისის მიუხედავად, რომელიც კლუბი იტალიის ჩემპიონატის ცხრილის მესამე საფეხურზეა და ლიდერებს, "მილანსა" და "ინტერს", მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. მიმდინარე სეზონის პირველ მატჩში, "კიევოსთან" დამარცხების შემდეგ, "ლაციოს" ზედიზედ 14 მატჩი არ ნაუგია. მაგრამ საფეხბურთო მოედნის გარეთ პრობლემები, მართლაც, თავსაყრდია. ნოემბერში, მას შემდეგ, რაც კრანიოტის კოუთენილი საკები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "Cirio", რომელიც "ლაციოს" აქციების 51 პროცენტს ფლობს, ფაქტობრივად, გაკოტრდა, კრანიოტიმ კლუბის გაყიდვის გადაწყვეტილებაც კი მიიღო.	
	"ლაციოს" ფეხბურთელთა უმეტესობას იენისის შემდეგ ხელფასი	

მსატაზს სიბიარი არ ემუქრებათ

FIFA-ს ვიცე-პრეზიდენტის, ჯეკ უორნერის განცხადებით, ახალი წლიდან FIFA-ს მსაჯებს ასაკობრივი ცენზი მოეხსნებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრ ცნობილ მსაჯს მომავალი წლიდან შეეძლება მუშაობა.

	აკაატა თოთაძე	
	CONCACAF-ის პრეზიდენტის, უორნერის თქმით, წინადადება მსაჯებისთვის ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნის თაობაზე მან მაღრიდში, FIFA-ს აღმასკომის სხდომაზე დააყენა. მართალია, ოფიციალური გადაწყ-	

	მიხეილ აბაიშვილი	
	საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ზამთრის არდადეგებია. ამ პერიოდს კლუბები სატრანსფერო საქმიანობისთვის იყენებენ.	

ზედქვეყნში მეოთხედ ადგილზე გასულმა და ჩემპიონობის პრეტენზიის მქონე "ვიტ ჯორჯიამ" ფეხბურთელები 27 დეკემბრამდე დაითხოვა. ამ დღეს გუნდი შეიკრიბება და 31 დეკემბრამდე მეორე მწვრთნელის ხელმძღვანელობით იგერჯიშებს. იტალიელი მთავარი მწვრთნელი ჯანი კარნევალი, ქართულ ფეხბურთში მოღვაწე სხვა უცხოელ მწვრთნელთა მსგავსად, სამშობლოში, აპენინებზე გაემგზავრა. იგი 4 იანვარს დაბრუნდება საქართველოში და გუნდს საწვ-

ნებისმიერ შემთხვევაში, FIFA-ს ვიცე-პრეზიდენტი ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა, საამისო მიზეზი რომ არ ჰქონოდა. თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რისი დიდი მანსიც არსებობს, მსოფლიო ფეხბურთში დარჩენიან ისეთი სახელგანთქმული მსაჯები, როგორებიც არიან ანტონიო ლოპეს ნიეტო, ვიტო მანუელ მელო პერეირა, ჟილ ვესიუ, ურს მაიერი, ჰიუ დელასი და სხვები.

ბუნებრივია, უორნერის წინადა-

	ნებისმიერ შემთხვევაში, FIFA-ს ვიცე-პრეზიდენტი ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა, საამისო მიზეზი რომ არ ჰქონოდა. თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რისი დიდი მანსიც არსებობს, მსოფლიო ფეხბურთში დარჩენიან ისეთი სახელგანთქმული მსაჯები, როგორებიც არიან ანტონიო ლოპეს ნიეტო, ვიტო მანუელ მელო პერეირა, ჟილ ვესიუ, ურს მაიერი, ჰიუ დელასი და სხვები.	
	ბუნებრივია, უორნერის წინადა-	

ამის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკებები ფეხბურთელის ტრანსფერის თაობაზე. თუ პირობებზე შევთანხმდით, კონტრაქტსაც გავაფორმებთ", - გვითხრა რუხაძემ.
მანვე გვამცნო, რომ "ვიტ ჯორჯიას" ოთხი ფეხბურთელი - ადამია, ნოზაძე, მასელდაძე და იმედაშვილი ამჟამად უკრაინაში არიან და კიევის "არსენალთან" ერთად ვარჯიშობენ. მასელდაძე და იმედაშვილი 18-18 წლის არიან და ისინი "ვიტ ჯორჯიამ" სტაჟირების გავლის მიზნით მიავლინა უკრაინაში. რაც შეეხება ადამიას და ნოზაძეს, დიდი ხანია, ისინი კიევის "არსენალს" აინტერესებს და, გამოიცხული არ არის, "არსენალმა" "ვიტ ჯორჯიას" კონტრაქტიც გააფორმონ. თუ ეს ორი ტრანსფერი განხორციელდება და მელქაძე როსტო-



სერჯიო კრანიოტი

არ მოუღია. გასულ კვირას კი მათი მოთმინების ფაილა საბოლოოდ აიგ-სო, რასაც სერიოზული პროტესტი მოჰყვა. არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო სიმეონე პირველი იყო, ვინც კრანიოტის გუნდიდან წასვლით დემუქრა. გაბრაზდა მეკარე პერუციცი, რომელმაც პრეზიდენტს, სულ ცოტა, 4 თვის ხელფასის (720 000 ევრო) გადახდა მოსთხოვა. ულტიმატუმს შეუსრულებლობის შემთხვევაში, პერუციც წასვლას აპირებს.

სიტუაციის განმუხტვას შეეცადა მწვრთნელი რობერტო მანჩინი. მან ქების სიტყვები არ დაიშურა არც ფეხბურთელების და არც პრეზიდენტის მისამართით. "ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი მოთმინება გამოიჩინეს და კრიზისში მყოფ გუნდს გვერდში დაუდგნენ. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს. ჩვენ,

ტედი" (1:0). ამ წარმატებებს კრანიოტი განსაკუთრებული სიამაყით იხსენებს: "ჩემი კარიერის ორი უდიდესი მიღწევა იყო 1999 წლის სუპერ-თასი და 2000 წელს მოგებული სუდეტო. ეს არასოდეს დამავიწყდება".

"ცხოვრება ნაწილებად, თავებად არის დაყოფილი. ჩემი ცხოვრების ის ნაწილი, რომელსაც "ლაციო" ჰქვია, დასასრულს უახლოვდება. წლევენდელო შობა სხვაგვარია, ვიდრე წინა წლებში იყო. ცხადია, მიჭირს დიად "ლაციოსთან" გამომშვიდობება, მაგრამ მე თავანული მივიღეარ, რადგან კლუბისთვის უამრავი რამ გავაკეთე", - განაცხადა 62 წლის პრეზიდენტმა.

კრანიოტი ოფიციალურად პოსტიდან გადადგება, სავარაუდოდ, 3 იანვარს, მაშინ, როცა დირექტორთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება.

კულმინაცია ახლოვდება



"ლოკომოტივი" ჩიხურას" მესხედრის მომენტი

ამ უკანასკნელთა და ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის, "საბურთალოს" პირველ გუნდებს შორის მატჩი ყველაზე დრამატული აღმოჩნდა. მოხდა უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც ტრიბუნებზე ჩხუბში გადაიზარდა.

ველებთან გადავა, "ვიტ ჯორჯიას" სერიოზული ძალა დააკლდება. ხოლო თუ სანაცვლოდ ადეკვატურ შევსებას არ მიიღებს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება. ჯანი კარნევალეს თბილისში ჩამოსვლამდე გურამ რუხაძემ თავი შეიკავა იმაზე დღევანდელი ფეხბურთელი სამუელის ნაცვლად ვის მიწევებს აპირებს გუნდში.

"ვიტ ჯორჯია" თბილისში 30 იანვრამდე მოემზადება. ამ დღეს კი 20-დღიან მეკრებაზე გაემგზავრება ანტალიაში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ სანვრთნელ მატჩს გამართავს. სამშობლოში დაბრუნებული ვიტენინართა გუნდი ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე თბილისში გაავრძელებს მზადებას.

უსოფო ზაზაიშვი, უსოფო

ანონსი

ინტერვიუ კახა კალაძესთან

კახა კალაძე. ეს სახელი ქართული სპორტის მოყვარულთათვის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთან და ძმადა,არგულ ადამიანთან ასოცირდება. როგორი უნდა იყოს კალაძე? რას გრძნობს ადამიანი, რომელიც გულშემატკივრებმა თვითნათ რჩეულად აღიარეს და რომელსაც წელიწადნახევარი საკუთარი ძმა თვალით არ უნახავს. როგორ წარმოუდგენია საკუთარი მომავალი "მილანში" და საქართველოს ნაკრებში?

"მინდა შინაგან საქმეთა მინისტრს შევხვდე და ჩემი ძმის შესახებ ვესაუბრო. იტალიიდან ტელეფონით ველაპარაკე და დამიბოძა, რომ ლევანის გასათავისუფლებლად მხოლოდ დრო იყო საჭირო"...

"საქართველოს ნაკრებს არც ისე უიმედო მდგომარეობა აქვს შესარჩევ ტურნირში. ჯგუფიდან ვასვლის შანსი კიდევ არსებობს, თუმცა გეტყვით, საამისოდ რა არის საჭირო" ...

"მილანი" წლეულს ქვეყნის ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის მოგებას გეგმავს. იმ შემდგგენლობით, რომელიც დღესაა შეკრებილი გუნდში, ეს შესაძლებელია, თუმცა ხელმძღვანელობა მის გაძლიერებას კიდევ აპირებს" ...

ეს არის მცირედი ნაწილი ინტერვიუსი, რომელიც თბილისში ჩამოსულმა კახა კალაძემ მისცა "24 საათს". ვრცლად ამ ინტერვიუს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში იხილავთ.

როგბართი

როგბურთელები ბუნებრივ სამყაროში

ხშირად გინახავთ შესანიშნავ კაბებში გამოწყობილი, პოდიუმზე მოსივრებ ჩოგბურთელი ქალბატონები? რა თქმა უნდა, არა! ისინი კეკლუცობით არ გამოირჩევიან და არც აღნაგობა აძლევთ იმის საშუალებას, რომ ქალურობის ეტალონად მოგ აველიონონ. განიერი მხარბეჭითა და ათლეტურობით, ჩოგბურთელები თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან - კარგად იციან კორტზე ქცევის წესი, მოძრაობა. თავის ამბულუმში ელევანტურადაც გამოიყურებიან, მაგრამ პოდიუმში... სხვა საქმეა. ეს ნებისმიერი სპორტსმენის პრობლემაა.

ჩოგბურთელები ხომ კორტს მიღმა, ძირითადად, “ბოტასებსა” და შორტებში ატარებენ ცხოვრებას და საკუთარ თავზე ნაკლებად ზრუნავენ. ჟურნალი “ოკ” შეეცადა, დაემსხვრია ეს სტერეოტიპი, წარმოდგენა ქალთა ჩოგბურთზე, რომელიც დღითი დღე სულ უფრო ათლეტური ხდება და ჩოგბურთელები სხვა კუხითი წარმოეჩინა. წარმოაჩინა კიდევ. ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილმა ფოტოებმა შეასრულეს თავისი ფუნქცია, მაგრამ სიარულის მანერა ამჟღავნებდა, რომ ისინი სპორტსმენები იყვნენ და კიდევ დიდი შრომა მოუწევდათ იმისთვის, რომ “ოსკარის” გადაცემის ცერემონიალზე თავი ვარსკვლავებად ეგრძნოთ.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს 7 საუკეთესო ჩოგბურთელი პოზირებდა ბერლინის სასტუმრო Ritz Carlton-ის შესანიშნავ ფონზე. უჩვეულო მოდელებს პრილიანტებით გაწყობილი ულამაზესი კაბები ეცვათ. ჩვენების შემდეგ უცნაურმა მოდელებმა ჩაცმავზე ისაუბრეს.

იანა ნოვოტნა: "სადაც უნდა ვიყო, მაღაზიებში სიარულისთვის დრო საერთოდ არ მეფენის. შტატებში ყველანაირად ცვდილობ, ამისთვის რამდენიმე საათი მოვიტოვო. ესეც იმის გამო, რომ რომელიმე გალერეის გიგანტური სახურავის ქვეშ ერთხაზად უამრავი მაღაზიაა თამოყრელი. მიყვარს კლასიკური სტილი და ტრადიციული ფერები. უპირატესო-

ბას ვანიჭებ იმ საგნებს, რომლებიც მართლა მიზნდება. იარლიყებს კი, მომე დიზაინერთა გვარებით, ნაკლებე ყურადღებას ვაქცევ. თუმცა, კარადაში კალვინ კლენინსა და არმანის ტანისამოსიც მიკლავა".

სერენა უილიამსი: "ვგიჟდები მაღაზიებზე, განსაკუთრებით - ლონდონში. უკანასკნელი კოლექციიდან ყოველთვის რაღაც ულტრამოდურს ვიძებ. სადღესასწაული საღამოსთვის ვერსაჩევს, ესკადას და ლუის ვუიტიონის კოლექციებიდან ვყიდულობ, ყოველდღურობისთვის კი - BCBG-სა და მახმავას. თმას დედა მვარცხნის, თმის აქსესუარებს კი თვითონ ვყიდულობ. სახის მოვლა არ მავინყდება. არის დღეები, როცა ძალიან მეძინება და ტუშის მოცილება მეზარება. სახის განმწმნას კვირაში ორჯერ ვახერხებ".

მარი პირის: "მიყვარს მიღებებზე სიარული. ლამაზად ჩაცმისთვის ყველა შესაძლო ვარიანტს ვიყენებ. საყვარელი დიზაინერები არიან დონა კარენი, რალფ ლორენი, კალვინ კლენინი და ვერსაჩე. ყოველდღიური სემისთვის ვირჩევ Gap, Banana Republic და Express-ს. სახის მოვლას დიდ დროს ვუთმობ. არასდროს მაგინყდება მზისგან დამცავი მაღამოს ნასმა. აქტიურად ვიყენებ სახის გამწმენდ ყოველგვარ საშუალებას. ვცდილობ, ბევრი სითხე მივიღო და საშინლად დიდხანს მიძინავს".

დომენიკ ვან რუსტი: "მოდის სამყაროს ვაფასებ. ვცდილობ, მუდმივად უკანასკნელი მოვლენების კურსში ვიყო. ჩემს კარადას, განსაკუთრებით აქტიურად, უიმბლდონის სახელგანთქმული ბუტიკებით ვაფასებ. მიყვარს კლასიკური, ელევანტური ჩასაცმელი უზბრალო, ძუნძი დეტალებით. დიეტა არასოდეს დამიცავს, მაგრამ სახის კანს ყოველთვის ვუვლი. ვცდილობ, მაკიავს უდიერად არ მოვექცე. მიამაჩნია, რომ რაც უფრო ბუნებრივად გამოიყურები, მით უკეთესია. თუმცა, თვეში ერთხელ აუცილებლად მიდივარ საპარიკმახეროში".

ანა კურნიკოვა: "მაღაზიებზე მეც ჭკუას ვკარგავ, მაგრამ იშვია-



ანა კურნიკოვა პოდიუმზე

თად ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ იქ იმდენ ხანს ვიარო, რამდენიც მინდა. მიყვარს, როცა შეუხამებელ ტანსაცმელს ერთმანეთს ვუხამებ - მაგალითად, კლასიკურ ტანსაცმელს რაიმე "საკაიფო" საგანთან. დიეტა? არა, ეს ჩემთვის არ არის. უზბრალოდ, ვცდილობ, ყურადღებით მივუდევ საკვებს".

ნატალი ტოზია: "უპირატესობას ვანიჭებ მოსახერხებელ ტანსაცმელს. კორტის გარეთაც სპორტული სტილის გულშემატკივარი გახლა-

ვართ. მიყვარს Lacoste, თუმცა, ხანდახან ნივთებს Cerruti-ის კოლექციიდანაც ვყიდულობ. ნივთებს შემთხვევიდან შემთხვევამდე ვიძენ. ამისთვის დრო არ მეშვება".

კონჩიტა მარტინესი: "მიყვარს როგორც კლასიკური, ისე სპორტული სტილის ტანსაცმელი. დიდი სიამოვნებით ვატარებ არმანის, კალვინ კლენინს, დოლჩე და გაბანასა და ლუისის პროდუქციას. ვერ ვიტან დიეტას. უზბრალოდ, ვცდილობ, ჯანსაღი საკვები მივიღო".

კრიკი

მუჰამედ ალის ლეგენდარული მწვრთნელი კლიფკობით აღფრთოვანებულია

გასულ კვირას მაიაშიმუ მუჰამედ ალის ლეგენდარული მწვრთნელის, აჟამუბად 81 წლის ანჯელო დანდის პატივსაცემად გაიმართა საზიორო კალა-ხალიშო. ცხადია, იმ დღეს მის გვერდით მუჰამედ ალიც იყო.

ასაკის მიუხედავად, ანჯელო დანდი დღემდე აქტიურ ცხოვრებას ეწევა: წერს წიგნებს, დადის მოკრევთა ვარჯიშებზე, რათა ახალგაზრდა ტალანტებს თავისი ძვირფასი რჩევები მისცეს.

მის ზარს დღემდე აფასებენ კრივის სამყაროში, მისი ნათქვამი ყოველთვის განსაკუთრებულად ჟღერს. დანდი აღფრთოვანებულია გერმანიაში მცხოვრები უკრაინელი ძმებით, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებით. ქვბის სიტყვებს არც მათი გერმანელი მეწვევრის, კლაუს-პეტერ კოლის მისამართით იშურებს: "ეს შესანიშნავი სინთეზია. ყოველი მათგანი შეთანხმე ასრულებს თავის საქმეს, შედეგად კი დიდ გუნდურ წარმატებას აღწევს. კოლი და კლიჩკოები მაგონებენ იმ ურთიერთობას, რომელიც მე და მუჰამედ ალის გვქონდა თავის დროზე", - განაცხადა დანდიმ.

ბევრი მისი თანამემამულისგან განსხვავებით, კლიჩკოების წარმატება დანდის ძალიან ახარებს. ამერიკაში კი არ უყვართ ვეცხოლი მოკრიკები. "ბედნიერი ვარ, რომ ძმები კლიჩკოები და მათი მეწვევრი კრივის მექაში, ამერიკაში, ფურორს ახედენენ. მათი სახით კრივს ახალი სისხლი გამოუწნდა, რომელიც ასე საჭირო იყო", - ამტკიცებს დანდი.

ლეგენდარული მწვრთნელი, რომელმაც, მუჰამედ ალის გარდა, მსოფლიოს კიდევ 14 ჩემპიონი გაუზარდა, არ გამოირცხება, რომ ვიტალი კლიჩკომ WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ლენოქს ლუისი დაამარცხო. "ვიტალის ძალიან ძიიერი დარტყმა აქვს და, თანაც, დიდი ტანისსაა. ასეთი მეტოქეები კი ლენოქსს არ უყვარს".

ვიტალი კლიჩკო ლენოქს ლუისს, საფრანდლოდ, 12 აპრილს ლას-ვეგასში, ან 19 აპრილს ნიუ-იორკში შეხვდება. იმას, რომ ეს ბრძოლა შედეგად, დანდი კლიჩკოების მეწვევრის კლაუს-პეტერ კოლის დიდ დამსახურებად მიიჩნევს: "ისეთი პრომოუტერებს, როგორიც დონ კინგია, კოლმა, ამ ბრძოლის ორგანიზებით, ბევრი სანერვიულო გაუჩინა.



ზილ კლინტონი მუჰამედ ალისა და ანჯელო დანდის აჭილდოებს

ეს კი უდიდესი მიღწევაა". ისევე როგორც ბევრი სხვა ადამიანი ამერიკის კრივის სამყაროში, დანდის არ უყვარს ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი და მის ერთ-ერთ ოპონენტად მიიჩნევა.

კლიჩკოებით აღფრთოვანების მიუხედავად, ანჯელო დანდი დასძენს: "თუ კლიჩკოებმა და მათმა მე-

წვევრმა ისეთივე ტემპში გააგრძელეს, როგორითაც აქამდე მუშაობდნენ, დიდ მწვერვალებს მიაღწევენ ნამდვილი სუპერვარსკვლავები გახდებიან. ამისთვის მათ ყველა მონაცემი აქვთ. თუმცა, მეორე მუჰამედ ალი აღარასოდეს იქნება. ის იყო და ყოველთვის იქნება ერთადერთი და განუმეორებელი..."

მოიჟმუშავებს", - მიიჩნევს ვიდემანი. დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონარი ვარაუდობს, რომ მეცნიერებმა ეს პრობლემა შეიძლება გადაჭრან იმ შემთხვევაში, თუ მუდმივად ყურადღებას მიაქცევენ სპორტსმენთა ორგანიზმში ნივთელი ბურთულების ცვლილებას.

ოლიმპიზმი

ახალი ოლიმპიური ნორმატივი

ბიბა ბარსაგვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საზეიმო ვითარებაში გახსნა სეოკ-ის ფასადი, ორთვენახევარზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ოლიმპიური იდეების "მოტრფილუმმა" უკვე მოასწრეს ფასადის შელანდლა. გესსომებათ, დაახლოებით ერთი თვის წინათ ვიტყობინებოდი, ფასადს ერთი ოლიმპიური რგოლი ჩამოავლიოჯესო.

სეოკ-ის ფასადი, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონთა მემორიალური დაფითა და საინფორმაციო მაჩვენებელითაა დამზენებული (ყოველ შემთხვევაში, ორი დღის წინათ ასე იყო), ახლა შელანდული იერთი აკვირებს აღმაშენებლის გამზირზე მოსიარულეებს. ფერად ლითონზე მონადირეთა რომელიღაც ბანდა, ეტყობა, უფრო დახელოვნებულა ამ საქმით, რადგან თუ ადრე ერთი რგოლის ჩამოგლეჯა მოახერხეს, ახლანდელი ნორმატივი სამი რგოლით შეასრულეს. ამასთან, საინტერესოა მათი გულთმისწობაც.

საქმე ის არის, რომ ერთი რგოლი, რომელიც ახალ მუპატრონეს ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ელის, მსოფლიოს ჩემპიონის, ძალისან გიორგი ასანიძის სახელით დაუშმენენბიათ. ღმერთმა ქნას, მათი წინასწარმეტყველება გამართლდეს. თუმცა, რატომაც, თვალში არ მოსვლიათ ფრენბურთით ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟა კუჭარავას სახელი და იგი ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიურ ჩემპიონთა რგოლიდან ამოუგლეჯიათ. მერე კი, როცა გული იჯერეს,მარმარილოს თეთრი კედელი, აქმდე უცნობი მდინარეოლის სტილში, ფლომასტერებით ნაირფერად მოუხატავთ.

ლაურეატები

აქადემიური ქალი და კაცი

ამერიკაში დიდ პატივს სცემენ ველომრბოლ ლენს არმსტრონგს. ამაში უჩვეულო არაფერია. გარდა იმისა, რომ ტურ დე ფრანსის საგზატკეცილო ბილიკებზე ოთხჯერ იზეიმა გამარჯვება, რაც, თავისთავად, უნიკალური შედეგია, იგი ამერიკელთა შორის ერთ-ერთი სამაგალითო პიროვნებაა. როდესაც ლენს არმსტრონგზე საუბრობენ, მის სპორტულ წარმატებებთან ერთად, განსაკუთრებით აღიზნავენ მის ყველაზე დიდ გამარჯვებას – გამარჯვებას კიბოზე. გესსომებათ, რამდენიმე დღის წინათ არმსტრონიც აშშ-ის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ახლა კი იგივე გააკეთათა აშშ-ის სპორტის აკადემიამ, რომელმაც სახელგიონი სპორტსმენი

“2002 წლის სპორტსმენის” გვირგვინით შეამკო.

სპორტის აკადემიაში, ბუნებრივია, არც საუკეთესო ქალი სპორტსმენი დაენიყებიათ. ასეთი კი უილიამსების საჩოგბურთო დინასტიის წარმომადგენელი სერენაა. 2002 წელი სერენასთვის უზემოსავლიანი გამოდგა. მან, ერთმანეთის მიყოლებით, ყველასთვის საოცნებო “დიდი სლემის” ტურნირები მოიგო. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატების ფინალებში სერენამ უფროს დას - ვინუსს სძლია. სულ ცოტა ხნის წინათ საინფორმაციო გაგანტმა, “როიტერმა”, სერენა უილიამსი, საკუთარი ვერსიით, წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახელა.

კალათბურთი

იუიზი უკდავია

ამერიკელებმა კიდევ ერთი ლეგენდა შექმნეს - მათ უკვდავყვეს პატრიკ იუიზის სახელი. 28 თებერვალს ნიუ-იორკის “მედისონ სკვერ გარდენში” გაიმართება ცერემონია, რომლის დროსაც “ნიუ-იორკ ნიქსის” ყოფილ ცენტრს, პატრიკ იუიზგს, საშუამოდ მიაკუთვნებენ 33 ნომერს. ამიერიდან ამ ნომრით “ნიქსის” ვერც ერთი კალათბურთელი ვერ ითამაშებს. იუიზგმა NBA-ში გატარებული 17 სეზონიდან 15 “ნიქსს” მიუღღვნა.

ამჟამად იუიზი “ვაშინგტონ უიზარდსის” ასისტენტად მუშაობს. თავისი შთამბეჭდავი სპორტული კარიერის განმავლობაში, იუიზგმა 1183 მატჩი ჩაატარა და თითო შეხვედრაში, საშუალოდ, 21 ქულას, 9,8 მოხსნასა და 2,45 დაფარებას ახორციელებდა. ამას წინათ, იგი NBA-ის ყველა დროის 50 უდიდეს კალათბურთელს შორის დაასახელეს.

ფორმალა 1

"შემახერს ვერაფარი შეაჩერახს", - ახმოვს ვილნავი

მსოფლიო ჩემპიონ მიხაელ შუმხერთან და “ფერარის” მიელ გულზთან თავისი უარყოფითი დამოკიდებულების მოუხედავად, ჟაკ ვილნევი მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში გერმანელი თავის მეექვსე ტიტულს მოიგებს. “თუ ფეის არ მოიტებს, ან “ფერარი” ძალიან ცუდ ახალ ბოლდს არ გააკეთებს, შუმხერს ვერაფერი შეაჩერებს”, - აცხადებს ვილნევი.

კანადელი მრბოლი ემზადება თავისი მეხუთე და, ალბათ, საბოლოო სეზონისთვის British American Racing-ის

უილიამსმა გარჯა მოიწონა

მომავალ სეზონში ფორმულა 1-ში ცვლილებები განხორციელდება. მათ რომლების მიმართ გულშემატკივართა ინტერესი უნდა გააღვივნო. ფორმულა, ტესტების ლმიტის გათვალისწინებით, ფინანსური ზღვარის დანესებაც ელოდება. ამ საკითხის განხილვა ჯერ არ დამთავრებულა. შემდგომი სხდომა 15 იანვარს არის დაგეგმილი.

Sunday Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში “უილიამსის” გუნდის მეფმა, სერ ფრენკ უილიამსმა, კეთილგანწყობით ისაუბრა ყველა იმ ადამიანზე, ვინც ხარჯების შემცირებას დაუჭირა მხარი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი ამ

გუნდში. ჟაკს იმედი აქვს, რომ BAR005-ის გაუმჯობესებული ბოლიდი მას საშუალებას მისცემს, ახალი სეზონის რბოლებში McLaren-ს და Williams-ს

პოდიუმებისთვის მაინც შეებრძოლოს. “დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში McLaren-ისა და Williams-ის დონეზე ვიწებით. თუ ბოლიდის გაუმჯობესების ტემპი ისეთივე იქნება, როგორიც ახლაა, ვფიქრობ, 2004 წელს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ”, - ამბობს ჟაკ ვილნევი.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ფრანგმა პოლ-ანრი მატიემ განაცხადა, რომ 30 დეკემბერს დოხის ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს. “ახალი სეზონის დანებაშს სწორედ ამ ტურნირით ვფიქრობდი, - თქვა მატიემ, - მაგრამ, სამწუხაროდ, უცლდის კუნთის ტრავმა მივიღე. ჯერჯერობით, არ შემიძლია ვთქვა, თუ მკურნალობისთვის რა დრო დამჭირდება”.

■ ■ ■

ჩოგბურთი. მომავალი წლის თებერვალში გაიმართება დევისის თასის მატჩი ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებ გუნდებს შორის. მასში მონაწილეობას არ მიიღებს ინგლისელთა ერთ-ერთი ლიდერი გრეგ რუსესკი. მან ახლახან მოირჩინა ფეხი, რის გამოც სამი თვე გაუცდა. ბრიტანელი იანვრის დასაწყისში, დოხის ტურნირზე ითამაშებს. ჯერჯერობით კი რუსესკი მზად არ არის დევისის თასზე სათამაშოდ. ამიტომ მან მიიღო გადაწყვეტილება, არ ითამაშოს ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში.

■ ■ ■

ჩოგბურთი. პარადული შრიჩაბანი ტილანდში მიმდინარე წლის ყველაზე პოპულარულ პერსონად აღიარეს. 1500 გამოკითხულიდან 54-მა პროცენტმა ფავორიტად ჩოგბურთელი აირჩია და ამჟამინა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ტაკსინ შინავატრეს, რომელიც საზოგადოებრივი აზრის სამსახურის გამოკითხვაში პოპულარიზით მეორე ადგილზე გავიდა.

■ ■ ■

კრიგი. სახელგანთქმულმა ამერიკელმა პრომოუტერმა დონ კინგმა განაცხადა, რომ მისი ფავორიტი ლამონ ბრიუსტერი, რომელსაც 29 ბრძოლიდან 27 მოგებული აქვს (მათ შორის 24 ნოკაუტით), WBO-ს ვერსიით მძიმე ნონაში მსოფლიო ჩემპიონს, უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოს გამოიწვევს. კინგის განმარტებით, ბრუსტერისა და კლიჩკო-უემსტონის ოთხაბრძოლა გერმანიის რომელიმე ქალაქში გაიმართება. თამის შირიგ, ძმები კლიჩკო პრომოუტერმა, კლაუს-პეტერ კოლმა, დონ კინგის მტკიცებას კომენტირ არ გაუკეთათ.

பொருள்

გვამტკიცებ

- საბავშვო ფონდი** **დაწესებულები**

- კონსტანტინე**

- „აზიარანი“**
 24 საათი, როლებში: მერლო სტერონი, კეზინ ზეიკონი
 დას: 17:00; 19:00; 21:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
„რასთაპალი“
 მულტიპლიკაციური ფილმი „პიტერ პენი 2“
 დას: 13:30 სთ
 „ლილო და სტივი“
 დას: 15:00; 16:30 სთ.
 „უნებლო მილიონერი“
 დას: 19:00 სთ
„ალისო“
 „ლილო და სტივი“
 დას: 13:30; 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
 მულტიპლიკაციური ფილმი „პიტერ პენი 2“
 დას: 15:00; 16:30 სთ; ფასი 5 ლარი
 „უნებლო მილიონერი“
 დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

Бүтээгдэхүүн

БЭТ-009-108

ЭХЭГЭЭНИЙ - 75%
ХУДГАА - 70%
УРХИЙН - 55%

М. ТИХИДОВ



**ფილარმონიის დიდი
საკონსერტო დარბაზი**

**25.26.27.28.29
დეკემბერი**

**საახალწლო
კონსერტი**
დასაწყისი 18 საათზე

ჯორჯია ონლაინი

რადიო 101 farmavita **24** საათი



მის. მელიქიშვილის გაზუ. 1 ბილეთები იყიდება უკვე

პირველი სიბნელი "აჭარა მიუზიკ ჰოლიდას"

თორნა ჯაფარიძე

ქართულ ტელე-არხებზე "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სარეკლამო რგოლების უცვარმა, წამიერმა გაელვებამ თავისი ესთეტიკითა და ინტერნეტის მისამართით: www.komuna.ge ჭეშმა-რიტი პოპ-კულტურის მოყვარულებსა და მომხმარებლებს აუწყა, რომ თბილისურ სინამდვილეში წამდვილი საკლუბო ცხოვრება იწყება. ამაში გუშინ მასმედიის წარმომდგენლები უკვე დარწმუნდნენ, როცა პრეს-კონფერენციაზე "აჭარა მიუზიკ ჰოლის" საცეკვაო დარბაზში აღმოჩნდნენ. პრეს-კონფერენციაზე უჩვეულო დისკო-გარემოში - გერმანიიდან ჩამოტანილი ულტრაიახამედროვე გაბათებისა და ხმის აპარატურის დემონსტრირების ფონზე ჩაიარა. თანაც, მას ცნობილი ტელე-წამყვანი, სერგი გვარჯალაძე უძღვებოდა. სერგი და "კომუნა კონტაქტ ჯგუფი" კლუბში მედია-დაგეგმვასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე იმუშავებენ. არტ-დირექტორებად ჟურნალისტებს გაია წერეთელი და გაია ცინცაძე წარუდგნენ, რომელთა ბიოგრაფიების თვალის გადავლებისას ნათელი ხდება, რომ ორივე მათგანი 90-იანი წლების ბოლოს აქტიურად მოღვაწეობდა მოსკოვური პრესტიჟული მოუბების ორგანიზებებში. სწორედ მათ ჩამოუყვანიათ მოსკოვში ნაოში კემპელი, გრეის ჯონსი, ხელმძღვანელობდნენ ჟურნალ "პენტჰაუსსა" და კლუბ "პენტჰაუსს" და ა.შ. თუ მათ გამოცდილებას "კომუნა კონტაქტ ჯგუფისა" და სერგის, თბილისელებისთვის კარგად ნაცნობ, მუსიკალურ ალბოს და გემოვნებას დაევაბებოდნენ, ცხადი გახდება, რომ პროფესიონალებთან გვაქვს საქმე. "აჭარა მიუზიკ ჰოლი", ჯახის, ტრანსის, ჰაუსის, ჰიპ-ჰოპის, ურბანული საცეკვაო მუსიკის საუკეთესო წარმომადგენლებს გავაცნობს.



დისკო ბალეტი

"გპირდებით - აქ მხოლოდ იმ მუსიკაზე იცეკვებთ, რაზეც ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ცეკვავდნენ საუკეთესო პრიტანულ კლუბებში. და კიდევ: აქ ცოცხალი მუსიკის გარდა, სხვა მუსიკა არ დაიკვრება", - ამბობს სერგი.

უკვე ბეგრისთვის ცნობილია, რომ აქ ახალი წლის ღამეს ქერონ უილერს ლონდონიდან და მის ურბანულ საცეკვაო პოპს ელიან. 14 იანვრამდე კი ახალი წლის დღეებში კლუბი თანამიმდევრობით უმასპინძლებს "აისბერგ სლიმს", "ფეტს ენდ სმოლს", ფრანგულ ჰაუსს - ჟულიენ

მილანში ხაჭაპურზე რიგები იდგა

თორნა ჯაფარიძე

ცნობილ საერთაშორისო ბაზრობას, რიგით მეშვიდეს, რომელზეც მსოფლიოს, თითქმის, ყველა ქვეყანა ხალხური რენეითა და სამზარეულოთი წარდგა, აშჯერად მილანი მასპინძლობდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მილანის მედია-ექსპოს უზარმაზარ ტერიტორიას ათი დღის განმავლობაში ხუთი მილიონი დამთვალიერებელი ესტუმრა. რამდენმა მათგანმა გასინჯა და აღმოაჩინა მანამდე მათთვის უცნობი ფენომენი - ქართული ხაჭაპური, ამის ზუსტი მონაცემები არ გვაქვს. საერთაშორისო ბაზრობაზე ქართული მხარის წარმომადგენლის, "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის" დირექტორის, მაკა დვალიშვილის თქმით, ხაჭაპურზე რიგები არ წყდებოდა: "პირველ ორ დღეს სკეპტიკურად უყურებდნენ, მიდი და აჭაგე ხაჭაპური, როდესაც ბევრმა მათგანმა საქართველოს არსებობაც არ იცის, ირგვლივ კი უამრავი ფრანგუ-



რიგი ხაჭაპურზე

ლი, ესპანური თუ ინგლისური მდიდრული რესტორანია. კონკურენცია მართლაც დიდი იყო. მით უმეტეს, საქართველოს პავილიონის დიდი ფართის დასაკავებლად თანხები არ


გაჩანდა, რომ მთელი ქართული სამზარეულო წარმოეჩინა. ჩვენ საგანგებოდ ნავიყვანეთ მცხობელი, რომელიც ხაჭაპურს დამთვალიერებლების თვალწინ სახელდახელოდ გა-

სევდიანი რალოზა ნებადევში

ფოტოგრაფიის პიონერი ამერიკაშია

თამარ ბაბუაძე

უილიამ ჰენრი ფოქს ტალბოტი - კაცი მეცხრამეტე საუკუნიდან, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი პიონერი, დაგეროტიპის მეტოქის, კალოტიპის გამომგონებელი - ამ ძალიან ოფიციალურ დახასიათებას შეიძლება ისიც დავურთოთ, რომ ტალბოტი ახალი რეალობის შემქმნელი და ძალიან რომანტიკული და სევდიანი ფოტოების ავტორია. დეკემბერი ტალბოტის ბიოგრაფიაში ღირსშესანიშნავი თვე არ გახლავთ, მაგრამ ფოტოგრაფიის საერთაშორისო ცენტრმა რატიონალურ სწორედ ახლა გადაწყვიტა, მისი უნიკალური შემკვიდრებისთვის სან დიეგოში სპეციალური პარაფენა მიეძღვნა. ეს ტალბოტის პირველი გრანდიოზული რეტროსპექტივა-მოგზაურობაა ამერიკაში. სპეციალისტებმა თავი მოუყარეს მის ასამდე კალოტიპს და ბევრი მათგანი პირველად გაიტანეს ინგლისის, კერძოდ კი, ლაიკის სააბატოს საზღვრებს გარეთ (სახლი ამ სააბატოში, სადაც ტალბოტი ცხოვრობდა დღეს მისი სახელობის მუზეუმიდანაა გადაკეთებული). ფოტოგრაფის ნამუშევრებთან ერთად გამოფენილია მეცნიერის პირადი წერილებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ავტორისგან პირველ პირში გავისინოთ ფოტოგრაფიის დაბადების პირველი წლები. გამოფენას ცნობისმოყვარე სტუმრები არ აკლია. ამერიკელები ტალბოტის შემკვიდრებებს ინტერესით ეცნობიან. როგორც ჩანს, მის მქრქალ, უკონტრასტო, ბუნდოვან, მაგრამ ღამაზ და სევდიან ფოტოებს წარსული საუკუნის როსტალგია და უცოდველობა ახლავს, რასაც ადამი-



ტალბოტის კალოტიპი

ანები ციფრული ფოტოგრაფიის აღორძინების ხანაში განსაკუთრებულად აფასებენ. ბევრი ამბობს, რომ ფოტოგრაფია ორჯერ დაიბადა - ერთხელ ფოქს ტალბოტის კალოტიპში, მეორეჯერ კი ლუი ჟაკ დავერის დაგეროტიპში. მათ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ტექნიკას მიაკვლიეს. დაგეროტიპს უფრო სრულყოფილი, მკვეთრი, კონტრასტული გამოსახულება ჰქონდა, მაგრამ მისი გადამრავლება შეუძლებელი იყო. ტალბოტის ფოტოების უპირატესობა კი სწორედ ის გახლდათ, რომ შეიძლება ერთი და იგივე გამოსახულების რამდენჯერმე გადაღება. 1840 წლის 23 სექტემბერს გაოგნებული ტალბოტი უყურებდა, მაგრამ მაინც ვერაფრით იჯერებდა სასუნაულს - თუ როგორ თანდათანობით

იკვეთებოდა შავ ნეგატივის ქაღალდზე გამოსახულება. სანამ სასწაული მოხდებოდა, ანუ სანამ მეცნიერი აღმოაჩენდა, რომ ქაღალდი გარკვეული ქიმიური მინარევების მიმატების შემდეგად შუქმგრძნობიარე ხდებოდა, ტალბოტმა ბევრი იწავლა. ბოლოს კი თავის გამოგონებას კალოტიპი უწოდა - ბერძნული სიტყვიდან "კალოს", რომელიც მშვენიერს ნიშნავს. რომანტიკული მეცნიერი ფანქარის გარეშე პეიზაჟის დახატვის პროცესს სხვაგვარად ვერც შეაფასებდა. მას ამ ქვეყნად ყველაზე მშვენიერ აქტად ქვეყნებოდა შუქმგრძნობიარე ქაღალდზე ნივთის (იქნებოდა ეს ხის ანათალი, მცენარე, თუ პაბის მაქმანი) მოთავსება, მისი შუქზე გამჟღავნება და ახალი რეალობის მიღება... ტალბოტის გამოგონების შესახებ 1839 წლის 31 იანვარს სამეფო საზოგა-

დოება წერდა: "ეს გახლავთ მოხსენება ფოტოგენური ხატვის შესახებ. უფრო ზუსტად იმ პროცესის შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა, რეალურად არსებული საგანი მხატვრის ფანქარის გარეშე ფურცელზე გამოესახოთ". მართალია, ტალბოტის მიერ შექმნილი რეალობა არსებულ სინამდვილეზე გაცილებით ბუნდოვანი და უფერული იყო, მაგრამ ის მშვენიერად გახლდათ. მისი ფოტოები ქმნიდნენ ფარდის ეფექტს - თითქოს, ფოტოზე გამოსახულ საგანს ავტორი ფარდის მიღმა უყურებდა. ერთხელ სიუზენ სონტაგმა თქვა: "არავის აღმოხდება: "ღმერთო, ეს რა მახინჯი რამეა, სასწრაფოდ ფოტო უნდა გადავუღო. ეს უცნაური ფრაზა ვინმეს რომც ნაშთივცდეს, ის აუცილებლად იგულისხმებს შემდეგს: მე ამ მახინჯ საგანში მშვენიერებას ვხედე". ალბათ, სწორედ ასე გრძნობდა თავს ფოქს ტალბოტიც - ის გარშემო სილამაზეს ხედავდა და ამიტომაც უწოდებდა თავის გამოგონებას "კალოტიპს" - ამ სილამაზის ქაღალდზე გადმოქმანს. რაც ყველაზე მთავარია, ტალბოტს სჯეროდა, რომ ფოტოგრაფიას დიდი მომავალი ჰქონდა. ის ამბობდა: "არ ვამტკიცებ, რომ ხელოვნება განუავითარე. მე, უბრალოდ, საფუძვლიან ჩავუყარე ახალ ხელოვნებას, რომლის შესაძლებლობებსა და ლიმიტებზე ჯერ საუბარი ზუსტად არ შემიძლია. მისი დახვეწა და განვითარება უკვე ჩემზე ნიჭიერი ადამიანის მოვალეობაა". თუმცა ის, ალბათ, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ფოტოგრაფიის ამ დონეზე განვითარების მიუხედავად, მის ძველ გაფერკრთილებულ და სევდიან ფოტოებს მაყურებელი 21-ე საუკუნეშიც ეყილებოდა.

დღესასწაული

გუშინ ქათოლიკურმა სამყარომ შოგა აღნიშნა



25 დეკემბერი ავსტრალიის პლაჟზე



ვენესუელაში სანტა-კლაუსები შრეზიდენტს იცავენ



დღესასწაული ბერლინის გაყინულ ტბაში



ამერიკელი ჯარისკაცები ქაბულის სამხედრო ბაზაზე



სანტა-კლასი ქუეითში



დედოფალი ეკლესიაში მიდის

